1. **BPP**

საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის პორტალი (ჩაშენებული პროექტების შეფასების მოდულით) ზოგადი ინფორმაცია:

უნდა შეიქმნას განცალკევებული ვებ საიტი საუკეთესო პრაქტიკის პროგრამისთვის. პორტალს ჰყავს 4 ტიპის მომხმარებელი: 1. ადმინისტრატორი; 2. მუნიციპალიტეტი; 3. ექსპერტი; 4. გარეშე ვიზიტორი (არ აქვს სისტემაში შესვლის უფლება და მხოლოდ ვებგვერდის გარე კონტენტს ხედავს).

პორტალს ფუნქციონალური დატვირთვა ექნება შემდეგი:

1. აუცილებლია შეიქმნას ინტერფეისი , სუპერ ადმინისტრატორისთვის საიდანაც მოხდება პორტალის მართვა, მ.შ.:
    - მომხმარებლების როლების დამატება/წაშლა, ავტორიზებული მომხმარებლების რეგისტრაცია;
    - საკონკურსო თემების დამატება/წაშლა; შესაძლებელი უნდა იყოს თემის რედაქტირება; ასევე შესაძლებელი უნდა იყოს საკონკურსო თემების დაჯგუფება სექტორებად (რომ თუ მოგვინდება რამდენიმე თემა გავაერთიანო ერთ მსხვილ სექტორში, მაგალითად: **სოციალური სექტორი** - 1. მუნიციპალური სოციალური პროგრამები ბავშვიანი ოჯახებისთვის; 2. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მონაწილეობითი დაგეგმვა; 3. სკოლამდელი განათლება, სკოლისგარეშე განათლება;)
    - პროეტების შესაბამისად პროექტის შეფასებისთვის ყველა ფუნქციის დამატება, მ.შ.: თითოეული საკონკურსო თემისთვის კრიტერიუმების, თითეული კრიტერიუმისთვის - შესაბამისი ინდიკატორების დამატება/წაშლა. ყველა ინდიკატორს აქვს გაზომვის მეთოდი და შკალა. სულ სამ მეთოდს ვიყენებთ - ექსპერტის შეფასება (შლაკა 0-10); ფაქტის დადგენა (კი/არა/არ დგინდება); მათემატიკური (პროცენტი 0-100%, რაც გენერირდება შესაბამის ქულებად 0-10);

- ერთ კატეგორიაზე შესაძლებელი უნდა იყოს რამოდენიმე კრიტერიუმის მიმაგრება ,
- ყოველ კრიტერიუმს დაუკავშირდება რამოდენიმე ინდიკატორი
- პროეტის შეაფასებისას უნდა მოხდეს მინიჭებული ქულების დაჯამება და საბოლოო შედაგად გენერირება
- ადმინისტრატორი უნდა ხედავდეს მუნიციპალიტეტების მიერ ატვირთულ პროექტებს, ყველა ეტაზე. უნდა შეგვეძლოს პროექტების არქივში ან გამარჯვებული პროექტების სექციაში გადატანა და მათი ნახვის საშუალება შესაბამისი ფილტრების გამოყენებით (წლის, თემის, ან მუნიციპალიტეტის მიხედვით). ვიდრე ადმინისტრატორი არ დაადასტურებს განაცხადს, განაცხადი არ უნდა გამოჩნდეს, როგორც წარდგენილი
- ფილტრების არსებობა მოიაზრება ყველა გვერდზე სადაც კი ეს საჭიროება დადგება
- პროეტების, კატეგორიების, კრიტერიუმების და ინდიკატორების რედაქტირების და წაშლის ფუნქციები
- დოკუმენტაციის ატვირთვის საშუალება პროექტთან მიმართებაში, ყოველ პროექტზე უნდა ფიქსირდებოდეს შექმნის თარიღი.
- ექსპერტები უნდა ხედავდნენ და შეფასების მოდული გაეხსნათ მხოლოდ კონკრეტულად მათთვის მიმაგრებულ თემატიკაზე (რასაც აკეტესბს ადმინისტრატოპრი ექსპერტის რეგისტრაციისას)
- ადმინისტრატორი ხედავს ექსპერტის შეფასების პროგრესს - რამდენი შეაფასა, რამდენი დარჩა შესაფასებელი), ასევე ხედავს ექსპერტის მიერ გაკეტებულ შეფასებას;
- ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს ნახოს: 1. რეპორტები პროექტების მიხედვით; 2. რეპორტები ექსპერტების მიხედვით; 3. რეპორტები კატეგორიების მიხედვით; ასევე უნდა შეგვეძლოს შეფასების ჩამოტვირთვა excel-ის ცხრილად;
- სუპერ ადმინისტრატორს შეუძლია დაამატოს მომხმარებლები: ოპერატორი, მუნიციპალიტეტი და ექსპერტი შესაბამისი უფლებრივი წვდომით.

- ექპერტებს შეეძლებათ ნახონ მიმდინარე პროექტები და გააკეთონ შეფასება
- ასევე ექპერტებს ექნებათ საშუალება ნახონ უკვე დასრულებული პროექტები და მხოლოდ თავისი შეფასებები, კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში.
- უნდა ფიქსირდებოდეს შეაფასების დრო(თარიღი)
- ექსპერტს უნად ჰქონდეს შესაბამისი ფილტრები
- მუნიციპალიტეტს უნდა შეეძლოს პროექტის ატვირთვა (სანამ ადმინისტრატორი არ გაუთიშავს აქტვირთვის ფუნქციას), რედაქტირება (სანამ ადმინისტრატორი არ გაუთიშავს რედაქტირების ფუნქციას); უნდა ჰქონდეს თავისი არქივი, სადაც გადაიტანს წინ წლების პროექტებს და თუ დასჭირდა, დაფილტრავს თემატიკის ან წლის მიხედვით); მუნიციპალიტეტის გვერდს ხედავს მხოლოდ ადმინისტრატორი და ეს კონკრეტული მუნიციპალიტეტი;

გარე ვიზიტორი რას ხედავს:

პირველ გვერდზე საქართველოს ინტერაქტიურ რუკას, მუნიციპალიტეტის საზღვრებით და შესაბამისი გერბებით. გერბზე კურსორის მიტანისას ამოდის შემდეგი ინფორმაცია: მუნიცპალიტეტის დასახელება, ვებგვერდის ლინკი, პროექტების რაოდენობა, გამარკვებული პროექტების რაოდენობა;

პირველ გვერდზე ზემოთ ჩანს შემდეგი საძიებო სექციები:

- სიახლეები
- საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის მოკლე აღწერა, გზამკვლევი სადაც ახსნილია პროექტების წარდგენის წესი, შეფასების წესი და კრიტერიუმები, განაცხადის ფორმა (ჩამოსატვირთი);
- საუკეთესო პრაქტიკის კონკურსი (იმ წლის საკონკურსო აპლიკაციების მოკლე შინაარსი:, მუნიციპალიტეტი, საკონკურსო თემა, პროექტის დასახელება და მოკლე არწერა (არაუმეტეს 200 სიტყვისა);
- გამარჯვებული პროექტები (აქ გადმოგვაქვს მხოლოდ გამარჯვებული პროექტები, გადმოტანა ხდება ადმინისტრატორის მიერ შესაბამისი პროექტის გასწვრივ არსებულ გრაფაში (გამარჯვებული) გაკეტებული მოთიქვით);

- კონკურსის არსებობის მანძილზე წარდგენილი განაცხადების სტატისტიკა და გამარჯვებული მუნიციპალიტეტების რეიგინტი (რეიტინგი უნდა შედგეს ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით: მთავარი კრიტერიუმია კონკურსში მოპოვებული გამარჯვების რაოდენობა და მეორადი კრიტერიუმი უნდა იყოს გამარჯვებულ პროექტებისთვის მინიჭებული ქულები)
- ხშირაად დასმული კითხვები და პასუხები;
- კონტაქტი

---

2. WWW.NALA.GE

ა.თ.ე.ა-ს (Nala) საიტის სტრუქტურა

ზედა მენიუ: ჩვენ შესახებ | თანამშრომლობა | კანონმდებლობა | მედია | კონტაქტი

ჩვენ შესახებ — ქვემენიუ

- ორგანიზაციის მისია - ტექსტის ფორმატის გვერდი;
- მმართველობა - ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი;
- წესდება - ტექსტის ფორმატის გვერდი;
- ა.თ.ე.ა-ს გუნდი - ტექსტი + ფოტოების ფოემატის გვერდი.

თანამშრომლობა — ქვემენიუ

- დელეგაცია ევროპის საბჭოს კონგრესში - ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი;
- დელეგაცია ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოში (CEMR) ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი;

- დელეგაცია ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა განვითარების ევროპულ პლატფორმაში (PLATFORMA) - ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი;
- დელეგაცია ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციაში (CORLEAP) - ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი;
- დელეგაცია გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივ ხელისუფლებათა მსოფლიო ორგანიზაციაში (UCLG) ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი;
- დელეგაცია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობათა გაერთიანებაში (UCLG ASPAC) ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი.

  თითოეულ დელგაციაზე დაკლიკვისას უნდა გამოვიდეს გვერდი სადაც ეწერება ინფორმცია ორგანიზაციის შესახებ და დელეგაციების წევრების სახელი, გვარი, თანამდებობა და ძირითადი ან სათადარიგო წევრობის სტატუსი.

- მემორანდუმები PDF + ფოტო.
- დაძმობილებული ასოციაციები ლოგოები და ლინკები.

კანონმდებლობა — **ქვემენიუ**

- საქართველოს ნორმატიული აქტები - ლინკები + PDF
- საერთაშორისო აქტები - ლინკები + PDF

მედია — **ქვემენიუ**

ნიუსის დადებისას ადმინს ჰქონდეს საშუალება მონიშნოს გარკვეული კატეგორიები რომ ავტომატურად მოხდეს მისი შესაბამის გვერდზე დადება (კატეგორიები იხილეთ ქვედა მენიუში)

- სიახლეები ტექსტი + ფოტოები+ რიცხვი (ადმინს შეეძლოს თარიღის შეცვლა)
- ფოტო გალერეა → გადადის Flickr-ზე: https://www.flickr.com/photos/201097136@N08/

- ვიდეო გალერეა → გადადის YouTube-ზე: https://www.youtube.com/@nalag8952
- კონტაქტი Google Map — ქ. თბილისი, ვანო სარაჯიშვილის 3 📞 511 53 53 81 📧 office@nala.ge

---

ქვედა მენიუ

საქმიანობა | წევრი მუნიციპალიტეტები | სერვისები მუნიციპალიტეტებისთვის | პროექტები | ბიბლიოთეკა | სასარგებლო ბმულები

საქმიანობა — ქვემენიუ

ადამიანის უფლებათა ლოკალიზების კომიტეტი - აღნიშნულზე დაკლიკვისას იხსნება **მესამე დონის მენიუ**

- კომიტეტის დებულება — ტექსტის ფორმატი;
- კომიტეტის წევრები —ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი.

სამართლებრივ საკითხთა კომიტეტი — ქვემენიუ - აღნიშნულზე დაკლიკვისას გაიხსნას **მესამე დონის მენიუ**

- კომიტეტის დებულება — ტექსტის ფორმატი;
- კომიტეტის წევრები — ტექსტი + ფოტოების ფორმატის გვერდი;

ქალთა და კაცთა თანასწორობა → უნდა გადავიდეს ცალკე საიტზე (**საიტი უნდა დამზადდეს**)

საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა → უნდა გადავიდეს ცალკე საიტზე (**საიტი უნდა დამზადდეს**)

სოციალური მონაცემების პლატფორმა → უნდა გადავიდეს ცალკე საიტზე (**საიტი უნდა დამზადდეს**)

წევრი მუნიციპალიტეტები - ქვემენიუ

თვითმმართველი ქალაქები- დაკლიკვისას იხსნება გვერდი სადაც იქნება 5 თვითმმართველი ქალაქის ლოგო ანბანის მიხედვით და ქვემოთ ეწერება:

მუნიციპალიტეტის მერი → ლინკი გადავიდეს შესაბამის გვერდზე.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ; → ლინკი გადავიდეს შესაბამის გვერდზე.
მუნიციპალიტეტის შესახებ;→ ლინკი გადავიდეს შესაბამის გვერდზე.

მუნიციპალიტეტის მერია → ლინკი გადავიდეს შესაბამის გვერდზე.
მუნიციპალიტეტის საკრებულო → ლინკი გადავიდეს შესაბამის გვერდზე.

თემთა მუნიციპალიტეტები - დაკლიკვისას გაიხსნას გვერდი სადაც იქნება 59 მუნიციპალიტეტის ლოგო ანბანის მიხედვით. აღნშნული ქვეკატეგორია უნდა დამზადდეს ზუსტად ისე როგორც თვითმმართველ ქალაქებზეა მითითებული.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები - ტექსტი + ლინკები ცესკოს გვერდიდან.

სერვისები მუნიციპალიტეტებისთვის — ქვემენიუ

ონლაინ სემინარები - დაკლიკვისას იხსნება სხვა გვერდი სადაც იქნება ტექსტი + პოსტერი სარეგისტრაციო ღილაკი → https://docs.google.com/forms/d/1F0gsLCbVoDxbSnQpxRsamnbenx2ZfFW_heIcqr51jM8/ დაგეგმილი სემინარების პოსტერები ⚠️ თუ მასალა არ არის — სექცია არ გამოჩნდეს

საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება - დაკლიკვისას გაიხსნას სხვა გვერდი სადაც იქნება ტექსტი + პოსტერი სარეგისტრაციო ღილაკი → https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSd2qtlffbOEC01K41-yL0--p0EeBStwkUa6HZqsIOdt-DRVVQ/viewform

უნდა გაკეთდეს ზუსტად ისე როგორც ონლაინ სემინარია.

თემატური ჯგუფები - აღნიშნულზე დაკლიკვისას გაიხსნას **მესამე დონის მენიუ**

- **თვითმმართველი ქალაქების სამუშაო ჯგუფი** — ტექსტი + ნიუსები ⚠️ სასურველია ნიუსის დადებისას კატეგორია მიეთითოს და ავტომატურად გამოჩნდეს შესაბამის სივრცეში.
- **მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სამუშაო ჯგუფი** — ტექსტი + ნიუსები ⚠️ სასურველია ნიუსის დადებისას კატეგორია მიეთითოს და ავტომატურად გამოჩნდეს შესაბამის სივრცეში
- **რეგიონული პლატფორმები** - გადავიდეს გვერდზე სადაც იქნება რუკიდან ამოჭრილი რეგიონის ფორმა + რეგიონის დასახელება. თითოეულზე დაკლიკვისას გაიხსნას ცალკე გვერდი შესაბამისი ნიუსებით ⚠️ სასურველია ნიუსის დადებისას კატეგორია მიეთითოს და ავტომატურად გამოჩნდეს შესაბამის სივრცეში.

პროექტები - აღნიშნულზე დაკლიკვისას გაიხსნას **მესამე დონის მენიუ**

- **ა.თ.ე.ა-ს მიმდინარე პროექტები** - დაკლიკვისას გამოჩნდეს პროექტის სახელწოდება დაჭერისას გადავიდეს ცალკე გვერდზე სადაც იქნება სრული ტექსტი.
- **ა.თ.ე.ა-ს დასრულებული პროექტები** - ანალოგიურად როგორც მიმდინარე პროექტები.

ბიბლიოთეკა — ქვემენიუ ***(უნდა გაკეთდეს საძიებო სისტემა)***

- კვლევები — PDF + ტექსტი + ლინკი
- პუბლიკაციები — PDF + ტექსტი + ლინკი
- სახელმძღვანელოები — PDF + ტექსტი + ლინკი

სასარგებლო ბმულები - ლინკები.

ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტი, ბმული თუ სხვა შინაარსი, დაკლიკების შემთხვევაში, უნდა იხსნებოდეს ახალ ფანჯარაში (New Tab), რათა მომხმარებელმა მიმდინარე გვერდი არ დატოვოს.

ვებგვერდი სრულად უნდა იყოს ადაპტირებული და ოპტიმიზებული მობილური მოწყობილობებისთვის, რაც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებასა და კომფორტულ გამოყენებას სხვადასხვა ზომის ეკრანზე.

სისტემა თავსებადი უნდა იყოს ყველა ძირითად თანამედროვე ბრაუზერთან, მათ შორის: Google Chrome, Mozilla Firefox, Microsoft Edge, Safari და Opera და სხვ. და რომ უზრუნველყოფდეს მათში სტაბილურ და გამართულ მუშაობას.

ვებგვერდის დიზაინი

- ვებგვერდი უნდა იყოს ორენოვანი (GEO/ENG).
- ვებგვერდზე გათვალისწინებული უნდა იყოს ა.თ.ე.ა-ს სოციალური ქსელების აიკონები, რომლებიც გადაილინკება შესაბამის მისამართებზე.
- საიტზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ე.წ. ,,სარკისებრი რეჟიმის“ ფუნქციონირება (ვებგვერდის რომელიმე კონტენტზე ყოფნისას,

თუ მომხმარებელი ენას ქართულიდან ინგლისურზე ან პირიქით გადართავს, უნდა ხდებოდეს შესაბამის კონტენტზე გადასვლა).

- ვებგვერდზე შესაბამის კატეგორიებსა და ველებში განთავსებული უნდა იყოს დამკვეთის მიერ მოწოდებული მასალა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. აღნიშნული მოიცავს როგორც არქივს, ასევე სხვადასხვა გვერდებზე განსათავსებელ ან გადასალინკ ინფორმაციას.
- ვებგვერდი აღჭურვილი უნდა იყოს ადმინისტრატორის პანელით, საიდანაც შესაძლებელი იქნება საიტის მართვა. ასევე, ადმინისტრატორის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს ინფორმაციის დამალვა როგორც ქართული, ასევე ინგლისური ვერსიიდან (იგულისხმება „საჯარო-ონლაინ“ სივრციდან ამა თუ იმ კატეგორიისა თუ კონტენტის დაფარვა).
- ადმინისტრატორს უნდა შეუძლოს, როგორც მენიუს, ასევე ქვეკატეგორიების დამატება, თანმიმდევრობის შეცვლა/გადაადგილება, ასევე მათი დამალვა და გამოჩენა.
- ა.თ.ე.ა-ს ძველი საიტი მოიცავდა ერთ სლაიდერს, სადაც თანმიმდევრობით ჩნდებოდა 6 ბოლო სიახლე. საიტის მარჯვენა მხარეს ასევე განთავსებული იყო მთავარი და მეორადი სიახლეების ბლოკები, სადაც ადმინისტრატორს სურვილისამებრ შეეძლო ნიუსების განთავსება, რაც პრაქტიკაში კარგად გამოიყენებოდა. (ვინაიდან ორგანიზაცია ატარებს საგანმანათლებლო და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ონლაინ სემინარებს, მთავარ და მეორად სიახლეში თავსდებოდა აღნიშნული შეხვერების პოსტერები.

აუცილებელი პირობაა, რომ საიტმა ავტომატურად დაარეგულიროს ფოტოების ზომები ისე, რომ არ მოხდეს მათი მოჭრა, ხოლო ყველა ტექსტი ავტომატურად განთავსდეს JUSTIFY ფორმატში.

- სიახლეები ასევე განთავსებული იყო პორტალის ქვედა ბლოკში. თითოეულ სიახლეზე მითითებული თარიღით, რომლის შეცვლაც შესაძლებელი იყო ადმინისტრატორის მიერ.

- საიტზე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პარტნიორების ლოგოები. თითოეულ ლოგოზე დაკლიკვისას იხსნებოდეს შესაბამისი ორგანიზაციის ვებგვერდი.

რუკა

- საიტზე აუცილებლად უნდა განთავსდეს რუკა, რომელიც დაყოფილი უნდა იყოს როგორც რეგიონებად, ასევე მუნიციპალიტეტებად. თითოეულ მუნიციპალიტეტზე კურსორის მიტანისას უნდა იწერებოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტი. უკვე კონკრეტულ მუნიციპალიტეტზე დაკლიკვისას აუცილებელია გვერდით გამოდიოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ლოგო და წარწერა ,,პროექტები“ საიდანაც შესაძლებელი იქნება გადასვლა ცალკე გვერდზე სადაც განთავსებული იქნება აღნიშნული მუნიციპალიტეტის ლოგო და დამკვეთის მიერ მოწოდებული პროექტები.

ქართულ ვერსიაში ორგანიზაციის დასახელება ყველა კატეგორიასა და ქვეკატეგორიაში მიეთითება ფორმით – „ა.თ.ე.ა“ (ბოლოში წერტილის გარეშე), ხოლო ინგლისურ ვერსიაში – „NALAG“.